საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტია.! ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 5 ნოემბერი 1919 წ. № 193.

# ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

[ქ]ალაქის თეატრი.

სამშაბათს 11 ნოემბერს გაიმართება დიდი

სალიტერატურო საღამო

[მო]ნაწილეობას მიიღებენ თბილისელი და ადგილობრივი საუკეთესო ძალები. 2—უ—2

განცხადება

[...]წლის 14 ოკტომბრიდან სპირტისა ოტკეულობის ქარხანა ქ. ქუთაისში.

დიმიტრი ბეგლარის ძე ადანაიასი

[...]ავან ხარაის ქუჩიდან გადატანილია ალექსანდრეს ქუჩაზე თევდორაძის სახლებში. 10—7

[და]ვკარგე ოზურგეთის მაზრის უფროსის მიმოცემული საცხოვრებელი მოწ[მობ]ა № 37 1913 წელში. დღეიდან [მოწ]მობას გაუქმებულად ვაცხადებ. [...]ვანე ლაზარეს ძე გიგიეშკორი. 1—1

[და]ვკარგე სამხედრო კომისიისაგან მოცემული [...] დროებითი თავისუფლების მოწ[მობ]ა № 1955 20 ივლისის რიცხვდღეიდან ამ მოწმობას გაუქმებულად ვაცხადებ. [...]როკოფი დავითის ძე რიჟამაძე. 1—1

[და]ვკარგე ქ. ქუთაისის ქალთა მთავრობის გიმნაზი[იდ]ან მიღებული მოწმობა 1914 წ. [...]ივნისს № 231. და ფარმაცევტის [მო]წმობა მიღებული 1917 წელს. ზე[მო]აღნიშნულ მოწმობებს დღეის რი[ც]ხვიდან გაუქმებულათ ვაცხადებ. [...]არა ერმალოზის ასული ულენტი. 1—1

[და]ვკარგე სამხედრო ბეგარისაგან გამთავისუ[ფ]ლებელი ბარათი ბოძებული ქუ[თაი]სის სამხედრო უფროსისაგან 1918 [...]რასაც ვაცხადებ გაუქმებულათ. [...]ლვა სპირდონის ძე ჯაფარიძე. 1—1

[და]ვკარგე ჯარის კაცობის თავისუფლების ბილე[თი] მოცემული ლანჩხუთის ქალაქ[ის] გამგეობისაგან. ამით ვაცხადებ, [რო]მ მას ამიერიდან ძალა არა აქვს. მოსე ონისიმეს ძე ჩხაიძე. 1—1

## როდემდის ვიაროთ ამ გზით.

რესპუბლიკის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უარესდება.

ფულს ფასი აღარ აქვს და სახელმწიფოს უსაჭიროეს მოთხოვნილებათა კმაყოფა გაუჭირდა.

ასი მანეთი წინეთ თვეში ყოფნიდა კაცს, ახლა კი დღეშიაც არ ყოფნის!

ამის მიზეზი კი ცხადია: ერთის მხრით ახალ-ახალი ბონები იბეჭდება და გამოდის ბაზარზე: მეორეს მხრით თითქმის ყოველივე ამშენებლობითი მუშაობა შეჩერებულია.

დასასრულ ერთი საკანონმდებლო აქტი უკარგავს ფულს ფასს: მამულების ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა.

და, თუ სურთ ფულის კურსი აღადგინონ, უპირველესად ეს აღკრძალვა უნდა გააუქმონ.

იმავე დროს უნდა გამოცხადდეს შრომის თავისუფლება.

მუშათა ამხანაგობას ნება არ უნდა ჰქონდეს აუკრძალოს მუშაობა სხვა მუშებს.

ერთი სიტყვით, მუშის ხელფასი უნდა შემცირდეს ზოგიერთს დარგში მაინც...

ფოთის პორტის მუშებს რომ რვაასრვაასი მანეთი აქვსთ დღეში, ეს— არანორმალურია.

უნდა შემცირდეს მტვირთველი მუშების ხელფასი ჭიათურაში და საზოგადოთ რკინის გზის სადგურებზე.

მწარმოებელს უნდა ჰქონდეს უფლება დაიქირავოს თავისუფლად მუშები...

ცხადია, რომ უნდა მოწესრიგდეს იმავე დროს სახელმწიფო მამულების ექსპლოატაცია, მოეწყოს სამელიორაციო კრედიტი, გაყვანილ იქნეს სარწყავი არხები.

მერე რა დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრე მოგვეცემოდა! საკმაოა, მოვრწყოთ ქართლ კახეთის ველ-მინდვრები, რომ წელიწადში ათი წლის საზრდო მოვიწიოთ!

მაგრამ, როგორცა ვსთქვით, არაფერი არ კეთდება და არ შენდება: მთავრობას მხოლოდ ნგრევის უნარი აქვს.

საკვირველია სწორეთ! შიმშილი და გაჭირვება სოციალ-დემოკრატიასაც კი სწვდა ყელში და „ვაი, ვაის“ აძახებინებს.

ყველა ემდურის ბედს, მაგრამ ვერავინ ხედავს უბედურობის მიზეზს.

მეტადრე მმართველი პარტიის ხალხს არ უნდა გატყდეს და აღიაროს რომ ეკონომიური კრიზისის სათავე მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკაშია!

გული რასაც ეუბნება, ენით არ ამბობს.

და საქართველოს ბედი პარტიულ ჟინიანობას ეწირება მსხვერპლად.

და უეჭველია: საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ მენშევიკებს, რომ დარწმუნებულიყვნენ, მათი ეკონომიური პოლიტიკა რომ სახელმწიფოებრივი შენებისათვის შეუსაბამოა.

და მოვალეობამ სამშობლოს წინაშე, უნდა აიძულოს და ძველი გზით სიარულზე უარი უნდა ათქმევინოს!

გვაკმარონ; რა სიმწარეც გამოგვაცდევინეს!

ვასილ წერეთელი.

## ნიკო ნიკოლაძის სიტყვა

დამფუძნებელი კრების 31 ოკტომბრის სხდომაზე.

ბატონებო! მე მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ამ საქმის შესახებ ჩემი აზრი.

მიკვირს, რომ ყოველგან და ყველაფერში პარტიულ განხეთქილებას, პარტიულ შუღლს ვქმნით! ეს გზა პოლიტიკური და იდეური ბრძოლისა ძველია, ეს ეხლა უკვე ანარქრონიზმია.

ნუ თუ არ არის დრო, რომ ახალ სოციალ პოლიტიკურ პირობებს შევეგუოთ და დროის შესაფერისად ვიმოქმედოთ.

რა საჭიროა ეს გაცვეთილი და დრო მოჭმული კინკლაობა.

ისეთს ქვეყანაში, სადაც საპარლამენტო არჩევნები საბოტაჟით თავდება, სადაც ხალხი ყუთს არ ეკარება და რა ნიადაგი აქვს ს. რევოლუციონერების პარტიულ მოღვაწეობას, ან ს.-ფედერალისტების.

დემოკრატიისა და დემოკრატიულ იდეების განვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე შეძლებულ კლასებს (ხმა მარცხნიდან: ბურჟუაზიას?)

ნ. ნიკოლაძე. ბატონებო, თქვენ ისტორიას თუ იცნობთ, ისიც გეცოდინებათ, რომ ბურჟუაზიამ შექმნა დემოკრატია.

სოციალიზმს დემაგოგიისა და დესპოტიის მეტი არაფერი შეუქმნია.

თქვენ თვითონ ამბობთ, რომ თქვენი მიზანია პროლეტარიატის დიქტატურა და ეს ხომ უმცირესობის დიქტატურაა და ამაში დემოკრატიული არაფერია.

თქვენი პარტიის ძლიერების მომხრეს, —ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ, —ჩემზე უკეთესს თვით თქვენს პარტიაში ვერ იპოვნით.

ჩემი და ჩემი პარტიის ინტერესია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა.

რისთვის ღალატობთ ერისა და დემოკრატიის ინტერესებს? რად აღვივებთ სამოქალაქო ომის ცეცხლს?

მე პირადათ დიდ პატივს ვსცემ ჯუღელსა და სახალხო გვარდიასაც, მაგრამ ის, როგორც სამხედრო ძალების წარმომადგენელი არ უნდა გამოდიოდეს ამ ტრიბუნიდან და მით უმეტეს არ უნდა ჰქმნიდეს სამოქალაქო ომის ატმოსფერას.

მე და ჩემს პარტიას სურს ჯარი პოლიტიკურ საქმეებში არ ერეოდეს, მთავრობის სურვილი და კანონიც ასეთი იყო, მაგრამ რატომღაც ეს კანონი დღეს დარღვეულია.

უკანასკნელ ხანების ამბოხება ჩვენს რესპუბლიკაში უნდა ითქვას, რომ „ოპერეტა“ არ იყო, როგორც ეს ჰგონია გაზეთ „ბორბა“-ს.

აქ ადგილი ჰქონდა დიდი მაშტაბით განზრახულ აჯანყებას, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ჯერ-ჯერობით მარჯვეთ ჩააქრო იგი.

ოპოზიციის შენიშვნებს ადმინისტრატიულ ზომების შესახებ მინისტრი საყვედურად ნუ მიიღებს. ჩვენ გვინდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, სამშობლოს თავისუფლება და ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს დიდი საქმე ჩვენს მთავრობას უნაკლოთ და სასახელოთ გაეკეთებიოს. ჩვენ სხვა არაფერი გვინდა.

ფორმულა გადასვლისა

თავმჯდომარე. კამათი დასრულდა. შემოსულია რეზოლიუციის ორი ფორმულა. ს. დემოკრატებისა და ს. რევოლუციონერების. კენჭის ყრის შემდეგ ხმის დიდი უმ[...]ბით გავიდა ს.-დემ. რეზოლიუცი[...]

## საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი.

კონსტანტინეპოლის გაზეთ „journale d'orient“ ის ღვინობისთვ[ის] 21-ის №-ში შემდეგს ვკითხულობ[თ]:

„გაზეთი „ტან“ აქვეყნებს შემდ[ეგ] ცნობას საქართველოს რესპუბლიკ[ის] ცნობის შესახებ: „არგენტინის რე[ს]პუბლიკის მთავრობამ აღიარა საქარ[თ]ველოს სახელმწიფო ფაქტიურა[დ] და იურიდიულად. იმ გვარადვე მ[ი]იქცა რომის პაპიც, რომელმაც დ[ა]ნიშნა მოციქულებრივი დელეგატ[ი], რომლის რეზიდენტი იქნება საქარ[თ]ველოს სატახტო ქალაქს თბილ[ი]სში.

საბერძნეთის მთავრობის არა ჩვე[უ]ლებრივი მისია, რომელსაც მეთაუ[ რ]ობს დოკტორი სტავრიდისი, მივ[იდ]ა საქართველოში. მისიის მეთაუ[რ]მა განსაკუთრებული კმაყოფილებ[ა] გამოუცხადა საქართველოს მთავრო[]ბას მისი მოპყრობისათვის საქართველოში შეხიზნულ გამოქცეულთ და იქ დაბინავებულ შთამომავლობის მცხოვრებთათვის“.

იმავე გაზეთის ღვინობისთვის 17 №-ში ვკითხულობთ:

„გენ. ჰარბორდი საქართველოში“. გენ. ჰარბორდი სომხეთიდან ღვინობ. 4-ს ჩავიდა საქართველოში იგი მიიღო სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენ. გედევანიშვილმა და სამხედრო რაზმმა მუსიკით. მეორე დღეს გენ. ჰარბორდი სადარბაზოდ იყო საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარესთან, ბ-ნ ჟორდანიასთან. აგრეთვე ინახულა რესპუბლიკის მთავრობის სხ. წევრები. შემდეგ ეწვია დამფუძნებელ კრებას, სადაც მას მიესალმა კრების თავმჯდომარე:

ამერიკელ გენ. და მისმა ამალამ გამოაცხადეს, რომ ისინი მეტად კმაყოფილი არიან საქართველოს მთავრობის წევრებთან საუბრით“.

## ახალი ამბავი

ქუთაისი.

**მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას განკარგულება.** მთავრობის თავმჯდომარისგან ერობათა და ქალაქის გამგეობამ შემდეგი ცირკულიარული მიიღო: „იუსტიციის სამინისტროს მოხსენებიდან ირკვევა რომ აუარებელი საქმეები რჩება სასამართლოს მიერ გაურჩეველი, მხო-[...]

◆ **ქუთაისის საბაჟო.** ქუთაისის საბაჟომ 28 ოქტომბრიდან მუშაობა დაიწყო, საზღვარ გარეთიდან ქუთაისში მომავალი ბარგი ნატანების მაგიერ ქუთაისში დაიბაჟება. ნატანებში მხოლოდ ის ბარგი იბაჟება რომელიც მგზავრისთვის არის ხელსაყრელი და თბილისში ან ქუთაისში არ მიაქვსთ.

◆ **სისხლის სამართლის მილიციის საყურადღებოდ** როგორც ირწმუნებიან გელათის ქუჩაზე ფუთობით არის დაგროვებული ოქროს და ვერცხლის ფული, რომლის გაზიდვას სისტემატიურათ აწარმოებენ სხვა და სხვა საშუალებებით. საჭიროა სისხლის სამართლის მილიციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რათა ჩვენი სასიცოცხლო ძალა საზღვარ გარეთ არ იქნეს გაზიდული.

◆ **ლაბაძის საქმე.** ქუთაისის საგანგებო სასამართლომ გაარჩია ცნობილი ლაბაძის საქმის ერთი ბრალდება, (ანანოვის გატაცება) ლაბაძეს იცავდა შ. მესხიშვილი. სასამართლომ ლაბაძე დამნაშავედ იცნო და ყოველი ღირსების ახდით 5 წლის კატორღა მიუსაჯა. სასამართლომ დაადგინა რომ იშუამდგომლონ მთავრობასთან რომ მას ეს სასჯელი ეპატიოს. მეორე საქმე ლაბაძის (ნემსაძის მკვლელობას) სასამართლო ამ დღეებში გაარჩევს.

# დღიური.

შეერთებული შტატები წინააღმდეგია ფიუმე იტალიას გადაეცეს.

ჩეხიის ქალაქებში სამხედრო ნაწილებში არეულობაა.

კომუნისტების ცნობით კიევის, პოლტავის, ეკატერინოსლავის და ჩერნიგოვის გუბერნიებს დენიკინის საწინააღმდეგო აჯანყება მოედო. აჯანყება დონის და ყუბანის ოლქშიაც იწყება.

პეტროგრადის ფრონტზე წითელმა ჯარმა ქ. ლუგა აიღო და წინ მიიწევს.

---

**ორთქლმავალის გადაგდება.** ორშაბათს ხონის გზისკენ მიმავალი ორთქლმავალი რომელიც საცდელათ ყავდათ გამოყვანილი თეთრი ხიდის მახლობლად გზიდან გადავარდა.

**ქალაქის თეატრი.** ხვალ 6 ნოემბერს ქალაქის თეატრში ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „ოტელო."

**კრება.** ხვალ ხუთშაბათს საღამოს სრულ 5 საათზე „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში დანიშნულია დასავლეთ საქართველოს ეროვნ. დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდითა კომიტეტის კრება.

300—500 მ.) ამიტომ ქალაქის გამგეობამ სადგურიდან თავის საწყობამდე ჩაავლო რკინის გზისლიანდაგი, რომელზედაც ღია ვაგონებით შეშა გადააქვსთ. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს საწყობიდან ლიანდაგი შეუერთოს თბილისის ქუჩაზე დაგებულ ლიანდაგს და ამგვარათ გააადვილოს აჯამეთიდან ჩამოტანილი შეშის გადმოტანა ქალაქის ცენტრალურ და წყალ გაღმა ნაწილში.

**ქალაქის გამგეობის** წევრი საყვარელიძე, რომელიც ქალაქის საქმეებისთვის თბილისში იყო წასული, უკვე დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

**ნავთი ქალაქისათვის.** ქალაქის გამგეობა პირობით შეჰკრა ნავთის მრეწველს გურევიჩს, რომელიც კისრულობს ყოველ თვიურად მისცეს ქალაქს 10 ცისტერნა ნავთი; ფუთი თბილისის სადგურზე 34 მანეთად. ამ ნავთის ნაწილი უკვე ჩამოვიდა ქუთაისში.

**ქუთაისის ქალაქის** გამგეობა

**ხაზიზღარი მკვლელობა.** ამ დღეებში სოფ. ქვიტირში ძმებმა მიშა და ალიოშა ჩოგოვაძეებმა მოჰკლეს ფარნაოზ ოქროპირისძე ჩოგოვაძე. მიზეზი თურმე ის ყოფილა რომ ალიოშა ჩოგოვაძისთვის ენა მიუტანიათ, ფარნაოზმა შენ ტყეში ქალი მოჰპარეო. ძმები ფარნაოზს გზაში დახვდებიან მიშას ქვა უსვრია ფარნაოზისათვის, რომელითაც ფარნაოზი წაქცეულა, შემდეგ ალიოშას ფრანგული ვინტოვკა უსვრია და დანით მუცელი გამოუჭრია. მიშა დაპატიმრების შემდეგ გაანთავისუფლეს, მხოლოდ ალიოშა დაპატიმრებულია. საჭიროა ასეთ მკვლელობებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

**მადლობის გამოცხადება.** დასავლეთ საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის ახალგაზრდების ყრილობა მადლობას უცხადებს ტიხონ ასათიანს ყრილობისთვის შენობის დათმობისათვის.

**ქალაქის საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ** გამგეობასთან ერთად შეაწერა მოქალაქეებს, ერთდროული სანიდარული გადასახადი, თანახმად დეკრეტისა 6 მილიონი და 150 ათასი მანეთი. ამ გადასახადის გაწერას წინ უძღოდა ქალაქის სანიტარული მდგომარეობის

განსაუმჯობესებელი ზომების განხილვა.

**ნაყოფიერ შრომის სპეციალისტების ჯგუფი** რომელიც ამ დღეებში შესდგა სამაზრო ერობას აცნობებს რომ მათ ყავსთ სპეციალისტები. უმთავრესად გერმანიის და ავსტრიის ტყვეობაში მყოფი პირნი: მებოსტნეების, საქონლის მომვლელის, მებაღეებს, ხელოსნების და ტეხნიკებისაგან შემდგარი, და ამიტომ ეს საზოგადოება გთხოვთ მიმართოთ მას თუ რამდენი და რა დარგში მომუშავე პირები სჭირდება თქვენს გამგეობას, რათა გამოყენებულ იქნას რაციონალურად ჩვენში მყოფი სპეციალისტები.

**კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა,** ქუთაისის ლეჩხუმის და რაჭის მაზრის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა მოხდება 15 ნოემბერს ქ. ქუთაისში კოოპერატივთა კავშირის დასაარსებლათ და გამგეობის ასარჩევად.

**კრება** ხვალ ხუთშაბათს საღამოს 8 საათზე მოხდება ქალაქის საბჭოს მორიგი კრება.

**1899 წელში დაბადებულთა გაწვევა სამხედრო სამსახურში.** სამაზრო ერობის გამგეობის მიერ უკვე დაბეჭდილია 1899 წელში დაბადებულთა 15 ნოემბერს გაწვევის შესახებ განცხადებები, რომელშიდაც შემდეგი ცხრილია: ტყიბულის რაიონის მცხოვრებნი უნდა გამოცხადდენ 15 ნოემბერს, სვირის რაიონის—16-ს, ქუთაისის—17-ს, ხონის—18-ს, სამტრედიის—19-ს, ვანის—20-ს, ბაღდათის—21-ს, ქალ. ქუთაისში მცხოვრებნი კი 23 ნოემბერს.

**ერობის სამხედრო ფუნქციები.** ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის წევრს ვ. ფალავანდიშვილს დამზადებული აქვს ერობაში სამხედრო ნაწილის ორგანიზაციის პროექტი.

ა) გაუქმებულ სამაზრო სამხედრო საკრებულოდან გადმოსული ფუნქციები.

1. ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა და შემოწმება.

2. სამხედრო ბეგრის მოხდაში ოჯახურ მდგომარეობის გამო მარჩენალზე შეღავათის მიცემა.

3. ომში მოკლულ და დასახიჩრებულ გვარდიელთა და ჯარის-კაცთა ოჯახების დახმარების მიცემა და შემდეგ მათზე პენსიების დანიშვნა.

ბ) გაუქმებულ სამხედრო უფროსის სამმართველოდან გადმოსული ფუქციები.

5. ახლად გაწვეულ, მობილიზაციით გამოწვეულ სათადარიგო, გამორჩენის შემდეგ სამხედრო გოსპიტლიდან გამოსულ და დაპატიმრებულ დეზერტირ ჯარისკაცთა გამოკვება რამდენიმე დღით ან კვირით.

6. ომში მოკლულ და დასახიჩრებულ სამხედრო კლასის თანამდებობის პირთა ოჯახობისადმი, თანახმად დროებითი წესებისა, დახმარების მიცემა სანამ პენსია დაენიშნებოდეს, ®

7. შემდეგ პენსიის დანიშვნა მათზე.

**სამტრედიის საურთიერ. ნდობის საზოგადოების გამგეობამ,** დაითხოა სამსახურიდან ბუხგალტერის თანამდებობის აღმასრულებელი ხელაია, ქუთაისის და მისი გუბერნიის საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირის გამგეობამ ეს ადგილი საქმის საბოლოოთ მოგვარებამდი ბოიკოტს ქვეშ გამოაცხადა.

**მასალმება.** ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში მიესალმა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს და იხსენიებს რა მის მემორანდუმს №18—21 ოქტომბრიდან, აუწყებს რომ შავი ზღვის არმიის მთავარ-სარდალმა ალბათ იცის, რომ გენ. კორის სევასტოპოლში არ გაუკეთებია არავითარი ისეთი განცხადება, რომელიც მას მიაწერა თფილისის პრესამ. უმაღლესმა მთავარსარდალმა არაფერი იცის იმ პროკლამაციის შესახებ, რომელიც ვითომ პოლკოვნიკ როლანდსონს გამოუშვია და ფიქრობს რომ, ეს ცნობა უსაფუძვლოა. ბ-ნ უორდროპს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ზემოაღნიშნული გამოქვეყნდეს პრესაში, თუ ამას ე. გეგეჭკორი სასურველად სცნობს.

**ამერიკის პოლიტიკურ საინფორმაციო** მისიის უფროსმა ვ. კ. მურმა გარეშე საქმეთა მინისტრ ე. პ. გეგეჭკორს შემდეგი ტელეგრამით მიმართა: „ჩემდა სამწუხაროდ, ვტოვებ რა საქართველოს, ერთხელ კიდევ გიხდით დიდ მადლობას იმ პატივცემისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ. ვუსურვებ საქართველოს ყოველივე კარგს".

## ქართული ლატარია.

ლატარიის საზეიმო გათამაშება დაიწყო ნაშუადღევის 1 ლ საათზედ.

ავანსცენის გრძელ მაგიდასთან სხედან მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ფინანსთა სამინისტროს და პრესის წარმომადგენლები და ლატარიის გამგეობა.

მარჯვნით სეკრეტარიატი.

მაგიდის წინ, ამაღლებაზედ გამართულია სამი ურნა: მარჯვენა ურნაში აწყვია სერიის № ები, მარცხენაში ბილეთების № ები და შუაში მოგების რაოდენობა.

ნაშუადღევის სრულ 1-ლ საათზედ ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე პროფ. ივ. ჯავახიშვილი ბეჭდავს ლუქით დარჩენილ ბილეთებს და კითხულობს ოქმს..

პარტერი და ლოჟები სდუმან..

ურნებთან მოდიან პატარა ბავშვები ქართულ ტანთსაცმელებში...

გათამაშება იწყება:

პატარა ბავშს ამოაქვს ურნიდან 1-ლი ბილეთი და მოაქვს მაგიდასთან, ბილეთებს ხსნის ნოე რამიშვილი.

1 ლი მოგება ასი მანეთი.. მეორე, მესამე და ერთხანს ასიანები ამოდიან.. მომგებიანი № ები თავ პატივს იღებენ:

500 მანეთი! საზოგადოებაში მეტი კმაყოფილება მოსჩანს. ყველას მოუთმენლობა ეტყობა—25 ათასი მანეთი!.. აცხადებს რამიშვილი და საერთო ტაშით უპასუხებს თეატრი.

გათამაშება გრძელდება საღამომდე.

ურნებს ისევ ბეჭდავენ მეორე დღისთვის. გათამაშება ალბათ სამ დღეს გასტანს.

გუშინ სამ საათამდე ჩვენი გაზეთის გამოსვლის დრომდე, უდიდესი მოგებანი ხვდათ შემდეგ № ებს:

სერიამ № 148 ბილეთმა № 480 მოიგო 25,000 მან. სერიამ № 43 ბილეთმა № 30 მა 5,000 მან.

დანარჩენი მოგებანი ჯერ ჯერობით თითო ბილეთი 500 მანეთს არ აღემატებიან. დაწვრილებით ნუსხა მომგებია ბილეთებისა, ჩვენი გაზეთის უახლოეს № ებში დაიბეჭდება.

## მთიულეთი

**დარუბანდისა და თემირ ხანშურის აღება.**

უკანასკნელ ცნობების თანახმად აჯანყებულებმა დარუბანდი და თემირ-ხანშურა აიღეს.

**ბრძოლა გროზნის ხანახებში.**

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ქ. გროზნასთან ღვინობისთვის 20 დან 4 დღის განმავლობაში საშინელი ბრძოლა იყო. ბრძოლა მოხალისეთა ინიციატორობით დაიწყო. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოხალისეებმა მოხსნეს ფრონტი და გროზნისკენ დაიხიეს, ხოლო ჩეჩნებმა აიღეს „ნოვია პრომისლი", რომელიც გროზნიდან 4 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ბრძოლის დროს სრულიად განადგურდა ყაზახთა სამი ასეული ორ პოლკოვნიკითურთ, და წაყვანილია მრავალი ტყვე. ტყვეთა შორის სჰარბობენ რეალისტები, გიმნაზისტები, და სტუდენტები, რომელნიც ძალით ყოფილან გაწვეული.

## დეპეშები.

(საქ. დეპეშათა სააგენტო)

**იტალიური პრესის ცნობები.**

ბრიტანეთის მთავრობამ იტალიისას მადლობა განუცხადა იმის გამო, რომ იტალიის მისიამ ბერლინში მოაწესრიგა გერმანიიდან ტყვე ინგლისელების სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

მოკლე ხანში დაიწყება ჰაეროპლანების სარეკორდო ფრენა. ფიქრობენ, რომ სიჩქარის რეკორდი 300 კილომეტრს მიაღწევს, ხოლო სიმაღლისა—10,000 მეტრს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბელგიის აღორძინების მინისტრმა მრეწველებს ურჩია საქონელი გერმანიაში შეისყიდონ. ბელგიის მთავრობამ ვისბადენში საინფორმაციო ბიურო დაარსა ბელგიელ მომმარებელთათვის.

იმის გამო, ვითომ ჩიჩერინს ნოტით გაეფრთხილებინოს გერმანია, რომ საბჭოთა რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობა არ მიეღო, გამოირკვა, რომ აქამდე გერმანიას ასეთი ნოტა ჯერ არ მიუღია, ხოლო ნეიტრალურ ქვეყნებს კი საბჭოთა მთავრობამ დაუგზავნა ასეთი გაფრთხილება.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ჩერნოგორიაში მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ანდრეი რადოვიჩი, სერბია კროატელთა და სლოვენების მთავრობამ საზავო კონფერენციაზე რწმუნებულ დელეგატად დანიშნა.

ნამდვილი ცნობებით ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატები, როგორც ეხლა გამოირკვა, არასდროს არ დაეთანხმდება, რომ ფიუმე იტალიას გადასცენ.

## აზერბეიჯანში

**ლენქორანში**

მაზრის უფროსმა ცნობა მიიღო, რომ სოფელ პრივოლნოეში (ლენქორანის მაზრა) მზადდება ბოლშევიკური გამოსვლა, რომლის სულის ჩამდგმელადაც ითვლება სოფლის მწერლის—ივანოვის მკვლელი ისაია იაკობის ძე ბოჩარნიკოვი. მაზრის უფროსი მხლებლებით მაშინათვე გაემგზავრა სოფ. პრივოლნოესკენ და მოსთხოვა აჯანყებულებს ნება ყოფლობით იარაღის დაყრა, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო სისხლის ღვრა. მაგრამ შეთქმულებმა უარი განაცხადეს და დაუწყეს მოსულებს სროლა. მაშინ მაზრის უფროსმა შეყარა სოფლის ყრილობა და მცხოვრებლებთან ერთად და უკანასკნელთა ნებაყოფობითი დახმარებით ალყა შემოარტყა შეთქმულებს დაჭერილ იქნა შემდეგი პირები: ისაია ბოჩარნიკოვი, მარკეი პისტავალოვი, ისაია კალენინი, პაველ ბარინოვი, ან. ზვეზდილინი, იაკ. პეჩოკინი, ივ. ტუშევი, ის. ზაკაროჩკინი და ანანია ნოვიკოვი. მათ აღმოაჩნდათ დაწვრილებით გეგმა გამოსვლის მოსაწყობათ. ჰქონიათ ფარული კავშირი კუჩუკ ხანთან და ამ უკანასკნელის დახმარებით განზრახული ჰქონებიათ სოფ. პრივოლნოეში საბჭოთა მთავრობის აღდგენა. („აზერბ.")

**სომხეთ აზერბეიჯანის კონფერენცია.**

25 ოქტომბერს სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის მოხდა გაცვლა-გამოცვლა ნოტებისა იმ კონფერენციის შესახებ, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა იქნეს მოწვეული.

**აზერბეიჯანის ახალი კაბინეტი.**

ახალ კაბინეტში, რომლის შედგენაც უსუბეგოვს აქვს მინდობილი, შევლენ—ხან ხოისკი, ხასმამედოვი, მელიქ-ასლანოვი, მეხმანდაროვი (სამხედრო მინისტრი), ჯაფაროვი, მამედბეგოვი—იტიხადიის კანდიდატი. სწარმოებს მოლაპარაკება პორთფელების განაწილების შესახებ. სოციალისტები და ეხრარისტები—ოპოზიციაში ჩაუდგებიან ახალ მთავრობას. („ის.")

## ქალაქის თვითმართველობის საყურადღებოდ.

საქართველოს სახელმწიფო მალე დამოუკიდებლობის და გაეროვნების ორი წლის თავს იდღესასწაულებს.

ეს დღესასწაული აღარ არის პარტიული და კლასიური, იგი ზეპარტიული და ზეკლასიური არის და იქნება. მთავრობამაც ნელის ტემპით დაიწყო დაწესებულებების ნაციონალიზაცია. ეს შეიძლება ძნელი საქმეც იყოს, მაგრამ მაინც მოხდა და შეძლების და გვარათ ჰრელ დაწესებულებებში კიდეც ხდება. გაცილებით ადვილია და არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს გარეგნულად მოხდეს ეს ნაციონალიზაცია, მაღალ დაწესებულებებში კი არა, უბრალო სამიკიტნოებში და საწვრიმალო მაღაზიებში.

აგერ 16 თვეა რაც განვდევნეთ საქართველოს ტერიტორიიდან რუსის ეშელონები და მათ გაჰყვა მათი პარტიული ნომერიც. აღარც რუსეთის მზის მაფიცებელ ბოლშევიზმს აქვს ნიადაგი საქართველოში.

მაგრამ რუსული წარწერები უბრალო სოფლის დუქნიდან ბოლო ... როებით გათამამებული ... გაზ... დაავადმყოფებული ქ. ქუთაის... სავაჭრო სახლებზე წარწერ... კოლოზის ბატონობის ხანას... ნებსთ.

ასაღელვებელია ის, რომ რუსულ წარწერებს არ შლია... ჰროებზე, მაგრამ კიდევ მეტა... ბრაებელია როცა ახლად ... ბილ „ვივესკებს" ხედავთ ყვითელ რუსულ წარწერებიან... ლისის ქალაქის თვითმართვე... კარგა ხანია რაც ასეთი წარ... ნაციონალიზაცია გამოაცხადა ... ბათ სისრულეშიდაც მოიყვან... რამ სძინავს ქუთაისს.

ქუთაისი კვლავ რუსული ... რებით არის აჭრელებული ... უცდის ნეტამც თვითმართ... ბა.

შეძლების და გვარათ გარდა... მის სამინისტროისა ყველგან და ნაციონალიზაცია, მაგრამ ... სის ბაზარს მისი არა გაუგია ...

თუ ისეთმა დაწესებულებამ ... ძლო გაეროვნება როგორიც ... ტა ტელეგრაფია, რაღა გახდა ... თაისის სამიკიტნოები და სა... როები. აქ მაინც აღარ ზიან მოხელეები გოლდმანები.

შარშან როცა უკრაინას ვ... ნკო და პეტლიურა მეთაურ... და როცა ის ფედერატიულ ... ულს წარმოადგენდა ბოლშევ... რუსეთისას, მათ ბრძანება გამ... რომელითაც 10000 მ. დაჯარ... ემუქრებოდენ მათ ვინც რუ... წარწერას არ მოშლიდა და უ... ნულს არ გაუკეთებდა, მიუხე... იმისა რომ თვით ინტელეგენცია... არ ესმოდა უკრაინული. თუ ... მოხდა ფედერატიულ ერთეუ... რაღა არის რომ სამიკიტნოებ... როვნება სეპარატიულ საქართვე... სახელმწიფოში ვერ შესძლეს ... ქის თვითმართველობებმა.

ნეტამც როდის მოვესწრებით ქუთაისის ქალაქის თვითმართველ... ამაზე ხმა ამოიღოს.

ბიკ. აბესა...

## ღია წერილი

**ექიმ მიხეილ ლევანის ძე ლ... თქიფანიძეს.**

ბატონო მიხეილ!

ის ამაგი და კაცთმოყვარე... გრძნობა, რომელიც თქვენ ... გამოიჩინეთ ვერავითარი მატ... ლური ჯილდოთი ვერ აინაზღაურ... ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ამ დროს გამომიჩნდით თქვენ. დღეს განკურნებული ვარ იმ ... საგან, რომელიც რამოდენიმე ... ული წელი მტანჯავდა და სი... ხლეს მიწამლავდა.

არა მაქვს სხვა საშუალება რო... გადაგიხადოთ თქვენ მიერ ჩემზე ხარჯული ამაგი გარდა ამ ჩემი გ... წრფელი და ულრმესი მადლობ... რომელსაც მე ამ ჩემ პატარა ... რილში გამოვთქვამ.

დეე ამნაირი უანგარო მზრუ... ლობა, ადამიანისა რომელიც თ... ჩემზე გამოიჩინეთ წასაბაძი გა... სხვებისთვისაც. მე მეათე დღეს მოვეწერე საავადმყოფოდან; კვირაში სრულიად მოვრჩი.

მუდამ თქვენი პატივცემული

**ხვიმონ მიხ. ჯაფარი...**